



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 117



2011 წლის 20 სექტემბერი
ქალაქი ხაშური

ქალაქ ხაშურში რუსთაველის და გორის ქუჩების ორმოული შეკეთების სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

2011 წლის 30 აგვისტოს (სატენდერო განცხადება (SPA 110022773) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ქალაქ ხაშურში რუსთაველის და გორის ქუჩების ორმოული შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 5 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ტენდერი განმეორებით გამოცხადდა 2011 წლის 7 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110023298), რომელსაც 12 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ქალაქ ხაშურში რუსთაველის და გორის ქუჩების ორმოული შეკეთების სამუშაოების შესრულება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ქალაქ ხაშურში რუსთაველის და გორის ქუჩების ორმოული შეკეთების სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

